ხელშეკრულება № 02 –10 /69
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 25 თებერვალი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. 46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „თითიჯი ჯორჯია" (მის.: თბილისი 0105. ჯორჯაძის ქ№5) (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენელი მისი დირექტორის ლელა ხარტიშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"-ს თანამშრომლებისათვის „ეკოტურიზმის" თემატიკაზე ტრეინინგის ჩატარება, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს (შემდგომში „მომსახურება") (CPV კოდი 80500000 - სატრენინგო მომსახურებები).
1.2 შესყიდვა ხორციელდება ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს მიერ გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში (ENPARD აჭარა, სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში), 2014 წლის სახსრებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანხართული დანართი №1 –ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და დაფინანსების პირობები.

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ–ს გარეშე შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარს.
2.2 მომსახურების ღირებულება - ერთი დღე 500 (ხუთასი) ლარი.
2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ–ს გარეშე.
2.4 შესყიდვა ხორციელდება ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრსა" და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობას შორის 2013 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დარეგისტრირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168–ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით საქონლის/მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელი სარგებლობს ჩათვლის უფლებით და გათავისუფლებულია დღგ–ს გადასახადისაგან.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, დღგ–ს გარეშე.
3.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის მიღება – ჩაბარების აქტისა გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება – ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველის წარმომადგენლის (ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი მინდია ნაკაშიძე) და მიმწოდებლის სათანადოდ უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერით.

5. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი:

ა) ტრენინგის ხანგრძლივობაა 6 (ექვსი) კალენდარული დღე, 2014 წლის 6 მარტიდან 12 მარტამდე.
ბ) ტრენინგის ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;
6.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.3. საქართველოს სამოქალაქო კო დექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღ ირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
7.5. ხელშეკრულების 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არ ანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე

მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღ მდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავების გადაჭრის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"	შპს „თითიჯი ჯორჯია"
მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. #46ა	მის.: თბილისი 0105. ჯორჯაძის ქ№5
ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22	ს.ს. „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE 22
ა/ა GE88LB0121162303587000	ა/ა GE66 TB 79 7853 6020 1000 04
ს/კ 445399391	ს/კ 404435544
დირექტორი	დირექტორი
გოჩა ბერიძე	ლელა ხარტიშვილი

ფასების ცხრილი

#	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	CPVკოდი 80500000 სატრეინინგო მომსახურებები	ტრეინინგი ეკოტურიზმის თემატიკაზე	დღე	6	500,00	3000,00
	ჯამი		ლარი			**3000,00**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"
დირექტორი
გოჩა ბერიძე

შპს „თითიჯი ჯორჯია"
დირექტორი
ლელა ხარტიშვილი